აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 23

29 ოქტომბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

სხდომას უძღვებოდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ქეთევან ჯიქია, თამაზ შარმანაშვილი, თამარ ხოზრევანიძე, გია გარსევანიშვილი, ასლან ჩავლეიშვილი, თენგიზ ცინცქილაძე, ლევან გაბრიჩიძე, ირაკლი გვარამია, მამუკა ჯაში, დავით რობაქიძე, ავთანდილ ჩახვაძე და ანზორ ბაღათურია.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: უმაღლეს საარჩევნო კომისიის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებში რეგისტრირებული დამკვირვებელი ორგანიზაციების: „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“, „სიმართლისა და სამართლის, ჩაგრულთა და პატიმართა უფლებების დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაციის“, „ახალგაზრდა ჟურნალისტთა ასოციაციის“ და „ახალი თაობა – ახალი ინიციატივის“, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა, უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და „საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის“ წარმომადგენლები.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

კომისიის წევრმა დავით რობაქიძემ კომისიის წინაშე დააყენა საკითხი წარმოდგენილი დღის წესრიგის დამტკიცებამდე

მასში შეტანილი ყოფილიყო ცვლილება და დღის წესრიგს დამატებოდა ინფომაციის სახით რამოდენიმე საკითხი. კერძოდ: პოლიტიკური პარტიების მიერ სააგიტაციო მასალების გამოყენება, გაკვრისა და საარჩევნო ბიულეტენების სპეციალური კონვერტის ფორმასთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის ცვლილების გათვალისწინებით დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი).

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. დადგენილება
ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიების განსაზღვრის შესახებ;

(მომხ: ა. მიქელაძე)

2. პოლიტიკური პარტიების მიერ სააგიტაციო მასალების გამოყენება, გაკვრისა და საარჩევნო ბიულეტენების სპეციალური კონვერტის ფორმის შესახებ;

1. დადგენილება
ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიების განსაზღვრის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიების განსაზღვრის შესახებ დადგენილების პროექტი და აღნიშნა, რომ მოცემული საკითხი კომისიის წევრის თამაზ შარმანაშვილის მოსაზრების

გათვალისწინებით და დავით რობაქიძის მიერ კომისიის წინაშე დაყენებული წინადადებით მოიხსნა წინა სხდომის დღის წესრიგიდან, ვინაიდან კომისიის წევრი დავით რობაქიძე და კომისიის რამოდენიმე წევრი არ იყვნენ გაცნობილი დადგენილების პროექტს და მას მოცემულ საკითხზე სჭირდება კონსულტაციები არასამთავრობო ორგანიზაციებთან. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მოცემული საკითხი განიხილებოდა წინა სხდომაზე, სადაც მის მიერ დადგენილების პროექტი მუხლობრივად იქნა განხილული და განმარტებული, რის შემდეგაც კიდევ ერთხელ კომისიას გააცნო და განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო დადგენილების პროექტში.

აზრი გამოთქვესა: კომისიის წევრებმა დავით რობაქიძემ, ანზორ ბაღათურიამ, ირაკლი გვარამიამ, ასლან ჩავლეიშვილმა, ქეთევან ჯიქიამ, თამაზ შარმანაშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა სხდომაზე დამსწრე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

,,სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მიესალმება მოცემული დადგენილების მიღებას იქიდან გამომდინარე, რომ ნებისმიერი პარტია, რომელიც გადალახავს 5%-იან ბარიერს, უნდა მიიღოს მანდატი უმაღლეს საბჭოში მოსახვედრად.

,,სიმართლისა და სამართლის, ჩაგრულთა და პატიმართა უფლებების დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაციის“ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მიესალმება მოცემული დადგენილების მიღებას.

,,ახალი თაობა – ახალი ინიციატივის“ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათი ორგანიზაცია კიდევ ერთხელ აფიქსირებს თავის მოსაზრებას და მიესალმება ხსენებული დადგენილების მიღებას. პოლიტიკური სუბიექტი, რომელიც გადალახავს 5%-იან ბარიერს, უნდა მიენიჭოს მანდატი უმაღლეს საბჭოში მოსახვედრად, მაგრამ როგორ მოხდება აღნიშნული დადგენილების ფორმულირება, ეს უკვე უმაღლესი საარჩევნო კომისიის კომპეტენციაა.

სხდომაზე სხვა მოსაზრება აღნიშნულ საკითხზე არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 9;
წინააღმდეგი 3;
(კენჭისყრაში მონაწილეობდა კომისიის 12 წევრი).

მიღებულია დადგენილება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. იმ საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობის დასადგენად, რომელმაც მიიღო არჩევნებში მონაწილეთა ხმების არანაკლებ 5% ან მეტი, მის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა უნდა გამრავლდეს 12-ზე და გაიყოს ასეთი სუბიექტების მიერ მიღებული ხმების რაოდენობათა ჯამზე. მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი არის საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობა. თუ საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობათა ჯამი 12-ზე ნაკლებია, გაუნაწილებელი მანდატებიდან თითო მანდატი პირველ რიგში თანმიმდევრულად მიეკუთვნება იმ საარჩევნო სუბიექტებს, რომლებმაც „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 63-ე მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად ვერ მოიპოვეს მანდატები, მაგრამ მოაგროვეს არჩევნებში მონაწილეთა ხმების 5%-ზე მეტი, ხოლო შემდეგ იმ საარჩევნო სუბიექტებს, რომლებმაც მოიპოვეს ერთი მანდატი მაინც, ასეთ შემთხვევაში გაუნაწილებელი მანდატებიდან თითო მანდატი მიეკუთვნება იმ საარჩევნო სუბიექტებს, რომლებმაც მეტი ხმა მიიღეს.

მუხლი 2. იმ შემთხვევაში თუ გაუნაწილებელი მანდატების რაოდენობა ნაკლებია იმ საარჩევნო სუბიექტების რაოდენობაზე, რომლებმაც მიიღეს არჩევნებში მონაწილეთა ხმების 5%-ზე მეტი, მაგრამ ვერ მოიპოვეს მანდატი, ასეთ საარჩევნო სუბიექტებს მანდატი მიენიჭებათ იმ საარჩევნო სუბიექტების ხარჯზე, რომლებმაც მოიპოვეს ერთზე მეტი მანდატი. ასეთ შემთხვევაში პირველ რიგში მანდატი მოაკლდება, იმ საარჩევნო სუბიექტს, რომელმაც მიიღო მეტი მანდატი. იმ შემთხვევაში თუ საარჩევნო სუბიქტების მიერ მიღებული მანდატების რაოდენობა თანაბარია, პირველ რიგში მანდატი დააკლდება იმ საარჩევნო სუბიექტს რომელმაც ნაკლები ხმა მიიღო.

მუხლი 3. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 4. ეს დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

2. პოლიტიკური პარტიების მიერ სააგიტაციო მასალების გამოყენება, გაკვრისა და საარჩევნო ბიულეტენების სპეციალური კონვერტის ფორმის შესახებ.

მოისმინეს: კომისიის წევრმა დავით რობაქიძემ აღნიშნა, რომ საარჩევნო კანონმდებლობა ავალდებულებს ყველა სუბიექტს დაიცვან პრინციპები და არ ჩაიდინონ ის ქმედებები, რომლებიც გახდება საფუძველი ამა თუ იმ სუბიექტისათვის ჯარიმის დაწესებისა. მან აღნიშნა, რომ საკითხი ეხება პოლიტიკური სუბიექტების მიერ სააგიტაციო მასალების გაკვრას. კერძოდ: პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სააგიტაციო პლაკატები გადაკრულია სხვა საარჩევნო სუბიექტების პლაკატებზე. მან აღნიშნა, რომ კანონი ითვალისწინებს საჯარიმო სანქციებს, მაგრამ უმჯობესია საჯარიმო სანქციების მიღებამდე გაფრთხილებული იქნას ამა თუ იმ პოლიტიკური სუბიექტის აქტივისტები, რომლებიც ჩადიან ასეთ ქმედებას ან ამისათვის შეიქმნას კომისიის წევრებისაგან ჯგუფი, რომლებიც გამოარკვევენ აღნიშულ საკითხს და მოგვაწვდიან შესაბამის (მტკიცებულებას) მასალას. მასალების შესწავლის შემდეგ კი უსკო მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

აზრი გამოთქვეს: სხდომის თავჯდომარემ არჩილ მიქელაძემ, კომისიის წევრმა ანზორ ბაღათურიამ, ლევან გაბრიჩიძემ, თამაზ შარმანაშვილმა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა.

კომისიის წევრმა ანზორ ბაღათურიამ აღნიშნა, რომ იგი თვითონ შეესწრო იმ ფაქტს, როდესაც რამოდენიმე პიროვნება დადიოდა და ხევდა სააგიტაციო პლაკატებს.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სახეზე არ არის შესაბამისი მტკიცებულება აღნიშნულ ქმედებას თუ რომელი საარჩევნო სუბიექტის აქტივისტები ჩადიან.

კომისიის წევრმა ასლან ჩავლეიშვილმა აღნიშნა, რომ თუ საკითხი ეხება სააგიტაციო მასალების გამოყენებას, მაშინ საკითხის განხილვა მოხდეს სხვა კუთხითაც. მან აღნიშნა, რომ როგორც ცნობილია, ქ. ბათუმის საკრებულოს მიერ მიღებული იქნა შესაბამისი აქტი, თუ სად არის ნებადართული სააგიტაციო მასალების გაკვრა, ამიტომ ყველაფერთან ერთად უნდა მოხდეს ამ საკითხების შესწავლა, რადგანაც თუ საუბარი ეხება დარღვევას, მაშინ მოხდეს ყველა სახის დარღვევების დაფიქსირება.

კომისიის თავმჯდომარემ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით მიმართა იურიდიული სამსახურის უფროსს ფრიდონ ბათნიძეს უმაღლეს საარჩევნო კომისიისათვის განემარტა თუ რა მექანიზმი არსებობს ამ საკითხის მოწესრიგებისათვის.

უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის იურიდიული სამსახურის უფროსმა ფრიდონ ბათნიძემ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, როცა ხდება საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა პლაკატების გაკვრასთან დაკავშირებით, აღნიშნული ქმედების ჩამდენის მიმართ უნდა შედგეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ და გადაგზავნილი უნდა იქნეს სასამართლოში, რომელიც იმსჯელებს აღნიშნული ქმედების ჩამდენს ეკუთვნის თუ არა საჯარიმო სანქციის დადება.

მოისმინეს: კომისიის წევრებმა ირაკლი გვარამიამ, ლევან გაბრიჩიძემ, დავით რობაქიძემ და ანზორ ბარათურიამ აღნიშნეს, რომ უმაღლესი საარჩევნო კომისიის განკარგულებით დადგენილი იქნა სპეციალური კონვერტების ფორმა (ბიულეტენებისათვის), რომლის მიღების დროსაც კომისიის წევრმა ირაკლი გვარამიამ გამოთქვა შენიშნვა, რომ უმჯობესი იქნებოდა სპეციალური კონვერტის ფორმას ჰქონოდა შედარებით უფრო დახურული სახე, რაც მათი აზრით არ იქნა გათვალისწინებული.

აზრი გამოთქვეს: კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ეს არის სპეციალური კონვერტი, ბიულეტენისათვის განკუთვნილი რაც დამტკიცებული აქვს უმაღლეს საარჩევნო კომისიას, რასაც დაეთანხმა კომისიის სხვა წევრები.

სხდომაზე სხვა საკითხი არ განხილულა

კომისიის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე	ა. მიქელაძე
კომისიის მდივანი	ქ. ჯიქია